

დირექტორის ფიდუციური მოვალეობები

2021 წელი



ავტორი

ქეთევან შენგელია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების

კვლევისა და ანალიზის ცენტრის მთავარი კონსულტანტი

2021 წელი

დირექტორის ფიდუციური მოვალეობები

წინამდებარე კვლევა ეხება საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთ აქტუალურ თემას, საწარმოს დირექტორის პასუხისმგებლობას. ნაშრომში თვამოყრილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ის გადაწყვეტილებები რომლითაც მნიშვნელოვანი განმარტებები გაკეთდა შემდეგ საკითხებზე: ხელმძღვანელთა ფიდუციური ვალდებულებები, აქციონერთა უფლებების დაცვა (ე.წ. „დერივაციულ სარჩელი“) და საგადასახადო ვალდებულებებისთვის კრედიტორთა წინაშე დირექტორის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები.

ფიდუციური ვალდებულებები და „სამეწარმეო განსჯის წესი“

კორპორაციულსამართლებრივ კონტექსტში დირექტორი საწარმოს მინდობილი პირი - მისი ფიდუციარია.¹ მას ფიდუციური ვალდებულების ფარგლებში, ეძლევა სრული დამოუკიდებლობა, იურიდიული პირის სახელითა და ხარჯზე განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც წესდებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას შეუწყობს ხელს.²

კომპანიის ხელმძღვანელთა საქმიანობის ძირითადი მიზანია მოგების მიღება. ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პარტნიორების მთავარ მიზანს, ინვესტიციების განხორციელებისას, სარგებლის მიღება წარმოადგენს.³ ამდენად, კომპანიის ხელმძღვანელებმა, კომპანიის მოგების გაზრდის ვადებულება, უნდა განახორციელონ მხოლოდ კანონით დადგენილი ქცევის წესის ფარგლებში.⁴

დირექტორს, როგორც ფიდუციარს, ვალდებულება აკისრია კორპორაციის წინაშე, შესაბამისად, ამ მოვალეობების დარღვევისათვის მისი პასუხისმგებლობა დგება საზოგადოების, და არა საზოგადოების პარტნიორების ან რომელიმე პარტნიორის მიმართ.⁵

¹ იხ., ჯუღელი გ., დირექტორთა პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე ახალი სასამართლო პრაქტიკის შედარებით სამართლებრივი მიმოხილვა. ჟურ. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა;

² სუსგ №ას-319-302-2017; ას-18-884-20116; ას-225-214-2017.

³ სუსგ №ას-1307-1245-2014

⁴ სუსგ №ას-1158-1104-2014

⁵ სუსგ №ას-457-436-2015

ფიდუციური მოვალეობის საფუძველი კეთილსინდისიერების ზოგადი სტანდარტია.⁶ ერთ-ერთ საქმეში საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „**კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობა** გულისხმობს პროცესს, როდესაც ხელმძღვანელი აცნობიერებს, თუ რა ხდება მის გარშემო, შესაბამისად, მოქმედებს ეფექტიანად და იღებს სწორ გადაწყვეტილებებს. ხელმძღვანელის კეთილსინდისიერება დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას, ვლინდება მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და შესაბამისად განხორციელებული მოქმედებების ურთიერთდამოკიდებულებიდან, ასევე სხვადასხვა პრობლემების დასაძლევად განხორციელებული ღონისძიებებიდან. ხელმძღვანელი უნდა აცნობიერებდეს მის როლს საწარმოში, იმავდროულად, საწარმოს როლს ბიზნესში და მოქმედებდეს იმ ცნობიერებით, რომ აუცილებელია საწარმოს განვითარება. აღნიშნულის მისაღწევად საჭიროა არა მხოლოდ მაღალი პროფესიონალიზმი, არამედ საზოგადოების წინაშე მდგარი გამოწვევების გაცნობიერება, მისი დამლევის გზების მოძიება, ასევე საწარმოს პარტნიორებთან და საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებულ პირებთან წარმატებული კომუნიკაცია. ეს არის საწარმოს გონივრული მართვის ძლიერი იარაღი, განხორციელებული საქმიანობის სიცხადისა და წარმატებული მართვის საწინდარი“.⁷ ამდენად კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობა ტოლფასია გონივრული მართვის, რაც თავისთავში მოიცავს დირექტორის მიერ საწარმოს წინაშე მდგარი ამოცანების რაციონალურ გადაწყვეტასა და პრობლემების აღმოფხვრის კუთხით ეფექტიანი ზომების გატარებას.

საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის, დირექტორის ფიდუციური მოვალეობები პრაქტიკიდან გამომდინარე შემდეგნაირად იყოფა: ერთგულების და ზრუნვის მოვალეობა.

ერთგულების მოვალეობა, გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ამდენად, გადაწყვეტილების მიღებისას დირექტორი უნდა მოქმედებდეს არა საკუთარი, არამედ კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს **ინტერესთა კონფლიქტის** თავიდან აცილებას.

ზრუნვის მოვალეობა მოითხოვს დირექტორის მიერ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომელსაც მიიღებდა ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივ სადად მოაზროვნე პირი. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, დირექტორის მხრიდან მიღებული გადაწყვეტილებები უნდა ემსახურებოდეს კომპანიის მოგების გაზრდას.⁸ თუმცა, გადაწყვეტილებები შეიძლება

⁶ იხ., *ჭანტურია ლ*, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში

⁷ სუსგ №ას-522-496-2013

⁸ სუსგ №ას-1158-1104-2014

იყოს მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც.⁹ ასეთ შემთხვევაში გამოიყენება საკორპორაციო სამართალში მოქმედი „სამეწარმეო განსჯის წესი“, ¹⁰ რომელიც წარმოადგენს კომპანიის დირექტორების პასუხისმგებლობისგან დაცვის ერთგვარ იმუნიტეტს. აღნიშნული წესი დირექტორს აძლევს საშუალებას მიიღოს თუნდაც მაღალი რისკის შემცველი ბიზნეს გადაწყვეტილება.¹¹ „სამეწარმეო განსჯის წესიდან“ გამომდინარე, კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებისათვის, თუნდაც მატერიალური დანაკლისის არსებობის შემთხვევაში ¹² თუ კი დადგინდება, რომ ის ამ გადაწყვეტილების მიღებისას:

- საკმარისად იყო ინფორმირებული საკითხის ირგვლივ;
- მოქმედებდა კეთილგონიერების ფარგლებში და
- გამომდიოდა კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან.¹³

ამასთან, დირექტორი ვალდებულია პირადი სარგებლის მიღების მიზნით არ გამოიყენოს **საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია**, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მოვალეობის შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო. აღნიშნული გულისხმობს, ასევე, **ინფორმაციას** იმ სამეწარმეო (ბიზნეს) შესაძლებლობების შესახებ, რომელთა გამოყენებაც შეუძლია და რომლებიც ეკუთვნის კორპორაციას.¹⁴

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კორპორაციულ სამართალში მოქმედი პრეზუმფციები და პრინციპები ცხადყოფს, რომ კორპორაციის დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უნდა იყოს რაციონალური და გონივრული, ემსახურებოდეს ერთადერთ მიზანს, კორპორაციის საუკეთესო ინტერესებს. დირექტორი უნდა მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის.¹⁵ აღნიშნული მოვალეობა ხშირ შემთხვევაში განმტკიცებულია როგორც კანონით,¹⁶ ისე კომპანიის წესდებით.

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ დირექტორზე დაკისრებული **ფიდუციური** მოვალეობის დარღვევად არ მიიჩნია მოქმედი დირექტორის მიერ ყოფილი დირექტორის მიმართ კომპანიის მიერ აღძრულ სარჩელზე უარის თქმა,

⁹ იქვე

¹⁰ Business Judgment Rule

¹¹ *Professor Bernard S. Black, The Principal Fiduciary Duties of Boards of Directors*, Presentation at Third Asian Roundtable on Corporate Governance Singapore, 4 April 2001

¹² სუსგ ას-1307-1245-2014

¹⁴ სუსგ №ას-245-230-2014

¹⁵ სუსგ №ას-727-695-2016

¹⁶ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9.6 მუხლი

შემდეგი დასაბუთებით: თუკი დირექტორის მიმართ, კორპორაციული მართვის პროცესში, ვრცელდება „სამეწარმეო განსჯის წესი“, მაშინ არსებობს ისეთივე დასაბუთებული ვარაუდის საფუძველი, რომ ყოფილი დირექტორის მიმართ აღძრული სარჩელის პერსპექტიულობა იგივე წესიდან გამომდინარე ვერ მიიჩნეოდა კომპანიისათვის მიყენებული ზიანის დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად და საფუძვლად ვერ დაედებოდა მოქმედი დირექტორისათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებას.¹⁷ ამასთან, იმავე საქმეში, საკასაციო სასამართლომ დირექტორზე დაკისრებული ფიდუციური, კერძოდ ზრუნვის მოვალეობის დარღვევად ჩათვალია დირექტორის მიერ მოპასუხე კომპანიის მიმართ დავალიანების გადახდევინების მიზნით აღძრულ სარჩელზე უარის თქმა. რადგან, დირექტორის ქმედებით კომპანიამ დაკარგა კომერციული შესაძლებლობა სასამართლო გადაწყვეტილებით მიელწია სასურველი შედეგისათვის. პალატის განმარტებით, დირექტორის ქმედება ცხადყოფდა, რომ იგი კორპორაციის საუკეთესო ინტერესებისთვის არ მოქმედებდა, რითაც კომპანიას მიადგა ზიანი.¹⁸

მეორე საქმე, რომელიც საკასაციო სასამართლომ განიხილა ეხებოდა დირექტორის მიერ, გადაუდებელი აუცილებლობის გარეშე, პროცენტური სესხის ხელშეკრულების დადებას, მაშინ როდესაც კომპანიას, ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში, ისეადაც მისაღები ჰქონდა თანხები შემკვეთისაგან. აღნიშნული ქმედება საკასაციო სასამართლომ დირექტორზე დაკისრებული ფიდუციური მოვალეობის, კონკრეტულად კი, ზრუნვის მოვალეობის დარღვევად მიიჩნია, რამეთუ მისი ქმედების შედეგად კომპანიამ განიცადა ზიანი 46 857.53 ლარის ოდენობით, რაც ცხადყოფდა, რომ იგი კორპორაციის საუკეთესო ინტერესებისთვის არ მოქმედებდა.¹⁹

ფიდუციური მოვალეობის დარღვევიდან გამომდინარე, დერივაციული სარჩელის წარდგენა დირექტორების წინააღმდეგ

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.6 მუხლის თანახმად, დირექტორი საკუთარი მოვალეობების დარღვევისაგან წარმოშობილი ზიანისათვის პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ინსტიტუტის მთავარ მიზანს კორპორაციის ქონების დაცვა და ზიანის თავიდან არიდება წარმოადგენს.²⁰

¹⁷სუსგ №ას-687-658-2016

¹⁸სუსგ №ას-687-658-2016

¹⁹სუსგ №ას-727-695-2016

²⁰სუსგ №ას-1412-1332-2017

თუ დირექტორის მიერ მისი მოვალეობების დარღვევის გამო კომპანიას ზიანი მიადგა, დირექტორის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის უფლება აქვს, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნულ კომპანიას. ამასთან, კანონმდებლობა ითვალისწინებს იმასაც, თუ კომპანია არ წარადგენს სარჩელს დირექტორის წინააღმდეგ, მაშინ კომპანიის სახელით და მის სასარგებლოდ სარჩელი შესაძლებელია აღძვრას კომპანიის აქციონერმაც/პარტნიორმაც, მათ შორის, უმცირესობაში მყოფმა (მინორიტარმა) პარტნიორმა²¹. აღნიშნული სარჩელი წარმოადგენს დერივაციულ სარჩელს,²² ხოლო მისი აღძვრის ძირითადი საფუძველია, დირექტორის საქმიანობის შედეგად კომპანიისათვის ზიანის მიყენების ფაქტი.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დერივაციული სარჩელის აღძვრის უფლება პარტნიორს მას შემდეგ წარმოეშობა, რაც იგი წერილობით მიმართავს საზოგადოებას და 90 დღის განმავლობაში ეს უკანასკნელი თავად არ განახორციელებს სათანადო რეაგირებას, ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს.²³

სამეცნიერო დოქტრინაში ჩამოყალიბებული მოსაზრების თანახმად, თუ აქციონერი საერთო კრებას მიმართავს და მიიღებს უარს სარჩელის წარდგენაზე, ეს აქციონერს სარჩელის წარდგენის უფლებას შეიძლება საერთოდ ართმევდეს. ამიტომაც, საერთო კრებისათვის მიმართვა არ უნდა წარმოადგენდეს სარჩელის დასაშვებობის წინაპირობას, თუ პარტნიორისთვის წინასწარ სავარაუდო იყო, რომ მას შედეგი არ მოჰყვებოდა. დერივაციული სარჩელი აღიქმება აქციონერთა უფლებების დაცვის რეალურ მექანიზმად, რაც ზოგადად კორპორაციულ მართვაში უზრუნველყოფს მცირე აქციონერთა/მინორიტარ პარტნიორთა ჩართულობას და ეფექტური კორპორაციული მართვის მოდელის ჩამოყალიბებას.²⁴

ამდენად, დერივაციული სარჩელი, უფლებას აძლევს აქციონერს, აგრეთვე, საზოგადოების პარტნიორს, გააკონტროლოს დირექტორის საქმიანობა, რათა არ მოხდეს ხელმძღვანელთა მხრიდან სამართავად მინდობილი ქონების ბოროტად გამოყენება, რომლის საფრთხეც რეალურია.²⁵ იგი ერთგვარი პრევენციაა დირექტორის

²¹ სუსგ №ას-457-436-2015 ;

²² „მეწარმეთა შესახებ“ კანონი, მუხლი 46.5; თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ არ განახორციელა საკუთარი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, პარტნიორს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ, თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად.

²³ 46-ე მუხლის მე-5 პუნქტი

²⁴ იხ., მაჭავარიანი ს. დისერტაცია: კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში”.

თბილისი, 2015, 143, 144; სუსგ ას-687-658-2016

²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება #1/1/543

მხრიდან გადაცდომის საწინააღმდეგოდ, როდესაც მას გააზრებული აქვს, რომ აქციონერი (პარტნიორი) უფლებამოსილია დირექტორატის გვერდის ავლით დამოუკიდებლად აღძრას სარჩელი კომპანიის სახელით და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.²⁶

აღსანიშნავია, რომ დერივაციული სარჩელი აღიძვრება არა აქციონერის, არამედ საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე და წარმოადგენს არაპირდაპირ სარჩელს, სადაც მოსარჩელეა აქციონერი/პარტნიორი, მოთხოვნა კი მიმართულია სხვა სუბიექტის, საზოგადოების სასარგებლოდ.²⁷ ამდენად, დერივაციული სარჩელის წარდგენისას მოსარჩელე გამოდის საწარმოს წარმომადგენლად.²⁸ ასეთი სარჩელის აღძვრისას, აქციონერმა/პარტნიორმა უნდა მიუთითოს დირექტორის ქმედებით კომპანიისათვის, და არა პირადად მისთვის, მიყენებულ ზიანზე.²⁹ ერთ-ერთ საქმეში, პარტნიორმა დირექტორის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა საკუთარი სახელით და მიუთითა უშუალოდ მის მიმართ მიყენებულ ზიანზე. იგი ზიანად მიიჩნევდა საწარმოს მიერ გაუცემელ დივიდენდს, რომელსაც, მისი მითითებით, საზოგადოების პარტნიორთა კრება გასცემდა დირექტორის მიერ სწორი ფინანსური დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში. ასეთი სახით, პარტნიორის მოთხოვნას დირექტორის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა. საკასაციო პალატის მტკიცებით, პარტნიორის მოთხოვნა დამატებითი დივიდენდის გაცემის თაობაზე ვერ დაკმაყოფილდება აღნიშნული მოთხოვნის საწარმოს მიმართ განხილვის შემთხვევაშიც კი.³⁰

ამდენად, დერივაციული სარჩელი, როგორც დირექტორთა კორპორაციული ანგარიშვალდებულებების მექანიზმი, ემსახურება საზოგადოების საუკეთესო ინტერესების განხორციელებას და კომპანიის სახელით მოქმედი აქციონერის (პარტნიორის) მიერ სასამართლოსათვის მიმართვის გზით უზრუნველყოფს დირექტორის არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას კომპანიისათვის.

დერივაციული სარჩელის განხილვისას მტკიცების თვალსაზრისით, მოსარჩელის ვალდებულებას წარმოადგენს ზიანის არსებობის ფაქტის დამტკიცება, მან უნდა მიუთითოს და წარადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს საწარმოს მატერიალური დანაკლისის ფაქტს, რომელიც დირექტორის ბრალეული ქმედების

²⁶ სუსგ ას-687-658-2016

²⁷ იხ., მაჭავარიანი ს. დისერტაცია

²⁸ სუსგ №ას-687-658-2016

²⁹ სუსგ №ას-457-436-2015

³⁰ იქვე

შედეგია, ხოლო საწარმოს ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი ვალდებულია გააქარწყლოს ეს გარემოება იმგვარად, რომ იგი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს და თუნდაც მატერიალური დანაკლისის არსებობის შემთხვევაში, ეს მდგომარეობა არ არის დირექტორის ბრალეული ქმედების შედეგი“.³¹

კომპანიის დირექტორის მიმართ ბიზნეს გადაწყვეტილებების მართებულობის შეფასებისას მტკიცების ტვირთის მაღალი სტანდარტია დაწესებული, რაც განპირობებულია საკორპორაციო სამართალში მოქმედი, „სამეწარმეო განსჯის წესით.“³² შესაბამისად, დირექტორების წინააღმდეგ დერივაციული სარჩელის შეტანის შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე ვალდებულია, გადალახოს აღნიშნული პრეზუმფცია.³³

მოხმობილ საქმეზე მინორიტარი პარტნიორის მიერ წარდგენილი დერივაციული სარჩელის განხილვისას, რომელიც ემყარებოდა საზოგადოების ხელმძღვანელობის პერიოდში დირექტორის არაკეთილსინდისიერი ქმედებით საზოგადოებისთვის ზიანის მიყენებას, რაც გამოიხატებოდა საქონლის დაბლ ფასად გაყიდვასა და საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებულ სასამართლო დავაზე უარის თქმაში, საკასაციო სასამართლომ გაავრცელა კორპორაციულ მართვის პროცესში მოქმედი „სამეწარმეო განსჯის წესი“ და მიიჩნია, რომ აღნიშნული წესის გასაქარწყლებლად მოსარჩელის მიერ რელევანტური მტკიცებულებები წარმოდგენილი არ ყოფილა.³⁴

საწარმოს საგადასახადო ვალდებულებისათვის კრედიტორთა წინაშე დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორების პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე შემოიფარგლება საზოგადოების მთელი ქონებით. ³⁵ საზოგადოების ვალდებულებისათვის დირექტორი პირადი ქონებით პასუხს არ აგებს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დირექტორის პირადი პასუხისმგებლობა საგამონაკლისო შემთხვევათა რიცხვს განეკუთვნება. კერძოდ, „ზრუნვის მოვალეობის“ დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანისათვის დირექტორი პასუხს აგებს მთელი

³¹ სუსგ №ას-245-230-2014

³² სუსგ №ას-1158-1104-2014

³³ სუსგ №ას-1158-1104-2014

³⁴ სუსგ №ას-687-658-2016

³⁵ „მეწარმეთა შესახებ კანონის“ 44-ე მუხლი

თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ (იხ. ზევით ქვე-თავი ზრუნვის მოვალეობა).³⁶

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შინაარსიდან ნათლად გამომდინარეობს, რომ კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე კომპანიის ვალდებულებების მიმართ სუბსიდიურია,³⁷ ხოლო ერთმანეთის მიმართ შესაძლებელია სოლიდარული იყოს.

საანგარიშო პერიოდში განხილულ ორ საქმეზე საკასაციო სასამართლომ იმსჯელა რა შემთხვევაში იყო კრედიტორი (რომელსაც ორივე საქმეში სახელმწიფო წარმოადგენდა) უფლებამოსილი მოეთხოვა **გადახდისუნარო კომპანიის** საგადასახადო ვალდებულების სოლიდარულად დაკისრება საწარმოს პარტნიორებსა და დირექტორებზე, რომლებსაც კანონიერ ძალაში შესული განაჩენით მსჯავრი დაედოთ განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადების განზრახ თავის არიდებისთვის (საწარმოს პარტნიორის პასუხისმგებლობის საკითზე ოდანვ მოგვიანებით შევჩერდებით).³⁸

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, კომპანია ვალდებულია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება დირექტორისგან შემდეგი გარემოებების კუმულატიურად არსებობის პირობებში:

1. დირექტორმა დაარღვია ფიდუციური ვალდებულება („ზრუნვის მოვალეობა“)
2. საწარმოს გააჩნია საგადასახადო ვალდებულება
3. საწარმო არსებითად გადახდისუნაროა
4. სახეზეა ისეთი ვითარება, როცა ანაზღაურება აუცილებელია სახელმწიფოს, როგორც კრედიტორის დასაკმაყოფილებლად.

კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს საზოგადოების ვალდებულების ანაზღაურება საზოგადოების დირექტორისაგან, იმ შემთხვევაში, თუ აშკარაა, რომ საწარმო მიმართ მოთხოვნის დაყენებას არავითარი შედეგი არ ექნება.³⁹

პალატის განმარტებით, „**ზრუნვის მოვალეობა**“ საგადასახადო ვალდებულებების შემცირება კომპანიის დირექტორთა საქმიანობის განუყოფელ ნაწილად აქცევს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტის ეფექტიანობის შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმი გახდა მათი მხრიდან კომპანიის ოპერაციების ისე

³⁶ სუსგ №ას-1307-1245-2014; ას-1158-1104-2014

³⁷ ე.ი. კრედიტორის მხრიდან დირექტორის მიმართ მოთხოვნა შესაძლებელია დადგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების კრედიტორს დაკმაყოფილების საშუალება არ გააჩნია

³⁸ სუსგ №ას-1307-1245-2014; ას-1158-1104-2014

³⁹ იქვე

დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, რომ მიღწეულ იქნას მაქსიმალური საგადასახადო ოპტიმიზაცია.

სასამართლო, „მეწარმეთა შესახებ კანონზე“⁴⁰ დაყრდნობით განმარტავს, რომ საზოგადოების უარი ან კომპრომისი ბათილია, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. ამასთანავე ანაზღაურების აუცილებლობის შემთხვევაში საზოგადოების დირექტორის ვალდებულება კრედიტორების წინაშე არ წყდება იმის გამო, რომ ის მოქმედებდა პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის მიმართ სისხლის სამართლის განაჩენის არსებობა საკმარისი არ არის მათთვის სადავო ვალდებულების უპირობოდ დაკისრებისათვის: სისხლის სამართლის სასამართლოს განაჩენი სამოქალაქო სამართალწარმოებისას წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ მტკიცებულებას და ფასდება სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. ამდენად, მოპასუხეების მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები გამოკვლევის გარეშე არ შეიძლება ჩაითვალოს უტყუარ მტკიცებულებად.

⁴⁰ მე-9.6 მუხლზე